გიორგი ბოჭორიძის კახეთ-ჰერეთის ექსპედიციები

თინათინ ჯაბადარი
ისტორიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული არქივი
ელ-ფოსტა: tinikojabadari@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0007-1997-5683

აბსტრაქტი. თემა ეხება დიდი ქართველი მეცნიერის, ეროვნული არქივის ერთერთი დამაარსებელს, ჩვენი საისტორიო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლს, რეპრესირებულ მეცნიერს გიორგი ბოჭორიძესა და მის მიერ ჩატარებულ ექსპედიციებს კახეთსა და ჰერეთში.

გიორგი ბოჭორიძე ივანე ჯავახიშვილის საუკეთესო მოსწავლე იყო, მან ჩამოაყალიბა ისტორიკოსად, მეცნიერ-მკვლევარად, დააოსტატა ეპიგრაფიკაში, ეთნოგრაფიასა და ხელოვნებათმცოდნეობაში, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის შემდგომ ცხოვრებაში.

ოციან წლებში ცენტრალურ არქივში მუშაობის დაწყებისთანავე შეუდგა გაბნეული საისტორიო წყაროების მოწესრიგებას, შეძლო სხვადასხვა უწყებებში დაუცველი და მოუვლელი წერილობითი წყაროების ცენტრალურ არქივში გადმოტანა, მათი სამეცნიერო წესრიგში მოყვანა. ეს იყო უაღრესად შრომატევადი სამუშაო. როგორც მის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, 1922-1923 წლებში მის მიერ ცენტრალურ არქივში შემოტანილი იყო 23 მეტად საინტერესო და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფონდი. ცენტრალური რკინიგზის სადგურიდან ეროვნულ არქივში იქნა გადმოტანილი რუსეთიდან დაბრუნებული არქივები: კრასნოდარიდან 4 ვაგონი, სტავროპოლიდან 7 ვაგონი, კავკაზიდან 1 ვაგონი. მან აღწერა დედაქალაქის 30-ზე მეტი ეკლესია, სამლოცველო, წიგნთსაცავები და არქივები.

დედაქალაქში ასეთი მძიმე საქმეების მოწესრიგების შემდეგ გადაწყვიტა საქართველოს რეგიონებში გამოეყენებინა თავისი ცოდნა და გამოცდილება. 1923-1936 წლებში მოიარა რაჭა- ლეჩხუმი, კახეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, საინგილო, ქართლი. შეისწავლა და აღწერა სხვადასხვა კუთხის ისტორიული, ნივთიერი ძეგლები, ეპიგრაფიკული წარწერები, შეაგროვა ხალხში გაბნეული ეთნოგრაფიული მასალა. მან ბევრი ისეთი ეკლესია აღწერა, რომლებიც მანამდე არავის არ ენახა, მოუვლელობით კი დროთა განმავლობაში ნადგურდებოდა.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში დაიბეჭდა მის მიერ მოძიებული მასალის თუშეთის, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის და 2011 წელს კი ქართლის ისტორიულ ძეგლთა აღწერილობა. დღემდე არ არის გამოცემული 1923-1929 წლებში მისი კახეთსა და ჰერეთში ჩატარებული ექსპედიციების დროს მოძიებული მასალა. წინამდებარე თემის მიზანია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული გიორგი ბოჭორიძის პირადი ფონდის გამოუქვეყნებელ მასალაზე ინფორმაციის მოწოდება, რადგან საკონფერენციო თემაში შეუძლებელია წლების განმავლობაში მისი მუშაობის შედეგების სრული სახით წარმოდგენა.

საკვანძო სიტყვები: გიორგი ბოჭორიძე, კახეთი, ჰერეთი, ისტორიული ძეგლები, აღწერა.

***

შესავალი: თემა ეხება დიდი ქართველი მეცნიერის, ეროვნული არქივის ერთ-ერთი დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის საუკეთესო სტუდენტის, ჩვენი საისტორიო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლს, რეპრესირებული მეცნიერს გიორგი ბოჭორიძესა და მიერ ჩატარებულ ექსპედიციებს მთლიან კახეთსა და ჰერეთში.

1921 -1936 წლებში მეცნიერმა ფეხით შემოიარა თითქმის მთელი საქართველო, ადგილზე დაათვალიერა და აღწერა ყველა ძეგლი და ძეგლის ნარჩენი, ფანქრით შეადგინა კულტურული ძეგ-

ლების სახელდახელო ნახაზები და ადგილზე შემორჩენილი ყველანაირი წარწერები. შემოგვინახა ისტორიული ძეგლების ირგვლივ არსებული ჩვენამდე მოუღწეველი ისტორიები და საქართველოს სხვადასხვა კუთხის იშვიათი ეთნოგრაფიული მასალა. ის ძველ ქართულ საბუთებზე მომუშავე კომისიის წევრიც იყო. საბუთების მოძიებისა და ჩამოტანის გარდა, მისი უშუალო მონაწილეობით ხდებოდა მათი შესწავლა, აღრიცხვა და სათანადო რეგისტრაცია. მარტო ქართლ-კახეთიდან სამი კვირის განმავლობაში მის მიერ ჩამოტანილი და აღრიცხული იყო 3016 სიგელი და 145 წიგნის ნაშთი. კახეთის ექსპედიციამდე, 1921-1922 წლებში მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა ჩრდილოეთ კავკასიაში გატანილი არქივების დაბრუნება და საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის უძველესი დოკუმენტებით დაკომპლექტება. გ. ბოჭორიძის მიერ შეგროვილი და აღწერილი მასალა საფუძვლად დაედო საქართველოს საისტორიო არქივის დაარსებას, მისი ჩანაწერები, რომლებიც დაცულია მის პირად ფონდში, ყველა დაინტერესებულ პირს ეხმარება საქართველოს ნებისმიერი მხარის ძეგლების ისტორიის აღდგენაში.

გასული საუკუნის ოციან წლებში განათლების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით დაიწყო თბილისის მაზრის ისტორიული ძეგლების და მათში შემოჩენილი, ხალხში გაბნეული ისტორიული ნივთების შესწავლა - აღწერა. კახეთი გარე კახეთიდან იწყება და იმ დროს თბილისის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა. გარე კახეთის ძეგლთა აღწერა და მთლიანი კახეთის ექსპედიციები 1923-1925 წლებში მოეწყო, ექსპედიციას ვამბობ, თორემ ხშირ შემთხვევაში მას მარტოს უწევდა სიარული. როგორც თვითონ წერს: “სამ წელიწად - ნახევარი გარე მხრობა (გარეთ ყოფნა), სულ მცირედი თანხით და სულ ფეხით სიარული, ზამთრის სიცივე და ზაფხულის სიცხე, დღეში 16-18 საათს მუშაობა, 9-10 ჯერ სიცოცხლის საფრთხის თავიდან აცილება (კლდე, წყალი, ხალხი და სხვა)[1] “ (სუიცა, ფ. 335, ა.9, ს. 98, გვ. 64).

მეთოდები: თემაზე მუშაობისას გამოვიყენე ძირითადად საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული გიორგი ბოჭორიძის და ვახტანგ გურგენიძის პირადი ფონდები და საქართველოს ეროვნული არქივის ფონდი, სადაც დაცულია მისი ბიოგრაფიული მონაცემები და მეცნიერის სამეცნიერო ექსპედიციების დროს ქიმიური ფანქრით და მელნით შესრულებული შესრულებული ჩანაწერები, მისი მოხსენებები, აღწერილ ისტორიულ ნაგებობათა, ტაძართა და მათში დაცული ძვირფასი და ფასეული ნივთების სიები.

მსჯელობა: პირველი ექსპედიცია გარე კახეთში 1925 წლის 25 მაისს მოეწყო. პირველი, რაც მან აღწერა ეს იყო საგარეჯოს გალავანი, რომლის შესახებაც XVIII საუკუნის ცნობილი გერმანელი მოგზაური გულდენშტედტიც საუბრობს თავის ჩანაწერებში. საქართველოში მისი მოგზაურობისას საგარეჯოს გალავანი უკვე დიდი ხნის აშენებული ყოფილა, რადგან მოსახლეობის ნაწილი გალავნის გარეთ იყო დასახლებული ...."ეს დაბა მდებარეობს თვალ წყაროზე... საგარეჯო გარშემორტყმულია გალავნით, თუმცა სახლების უმეტესობა გალავნის გარეთაა**....** მის ირგვლივ გაშენებულია ვენახები, დარგულია დიდი რაოდენობით ხეხილი" (გიულდენშტენდტი. 1962, გვ.16, 19). XX საუკუნის ოციან წლებში გიორგი ბოჭორიძეც ადასტურებდა გალავნის არსებობას. მიუხედავად მისი საკმაო დაზიანებისა, მეცნიერი ნაგებობას მაღალ შეფასებას აძლევდა:....."ეს გალავანი არის ნამდვილი ისტორიული ძეგლი, რომელიც ყოველის მხრივ ხელშეუხებელი და სასტიკად დაცული უნდა იქნეს.... "საგარეჯოს გალავანი, რომელშიც გადმოცემით მტრის შემოსევის დროს თავს იფარავდა თვით საგარეჯოს, გიორგიწმინდის და ნინოწმინდის მოსახლეობა, მის მცხოვრებთ საშინლად დაუზიანებიათ, მათ გალავნის კედლები ყოველ მხრივ გაუნგრ-გამოუნგრევიათ, ვისაც საით უნდოდათ კარები იქით გაუყვანია, ბურჯ-კედლების ზევით ნაწილი მოუნგრევიათ და ზედ სახლები დაუშენებიათ, სხვებს უქცევიათ იგი საშენებელ მასალად და დაუყიდიათ" (სცა, ფ. 1753, ა.1, ს.4, გვ.92ა). გასული საუკუნის ოციან წლებში, მისი იქ ყოფნის დროს, შემონახული ყოფილა მხოლოდ ჩრდილო აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლები. ძეგლის შესწავლისას აღმოსავლეთით კედლის

სიახლოვეს ერთ-ერთი მაცხოვრებლის ეზოში უპოვნია საკმაოდ დაზიანებული წარწერებიანი ქვა, ზომით 14/10, კედლიდან ძალით ჩამოგდებული, რადგან დაზიანების გამო, მასზე შემორჩენილი წარწერის მხოლოდ რამდენიმე ასოს გარჩევა ყოფილა შესაძლებელი, ამიტომ შინაარსის გამოტანაც შეუძლებელი ყოფილა.

გიორგი ბოჭორიძე წარწერას და გალავნის აშენებას XVII საუკუნის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს. ადგილზე მუშაობის დროს მეცნიერმა მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას და აცნობა გალავნის განგებ დაზიანების შესახებ, მაგრამ მოსახლეობამ კვლავ გააგრძელა გალავნის დაშლა... (ფ. 1753, ა. 1, ს. 4, გვ.97). სამწუხაროა, რომ დღეს გალავნის კვალი საერთოდ აღარ არსებობს.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან კავშირი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმისა, რომ გარე კახეთის, საგარეჯოს ტერიტორიაზე უამრავი საკულტო ტაძარია აშენებული. ამ ტაძრების ინტენსიური შესწავლა XX საუკუნის 20--იანი წლებიდან დაიწყო. თუმცა, XIX საუკუნის შუა ხანებში დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსით დაინტერესდა, მოინახულა და აღწერა კავკასიის მეფისნაცვალმა, კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდალმა და მოგზაურმა ნიკოლოზ მურავიოვმა.

გიორგი ბოჭორიძემ ფეხით შემოიარა, აღნუსხა და გარეჯის ისტორიული ძეგლები. უმეტესი მათგანი გაძარცვული და დანგრეული დახვდა: "უსაშინლეს მდგომარეობაშია დავით გარეჯელის და ნათლისმცემლის უდაბნოები, განსაკუთრებით უკანასკნელი, აქ ბოროტმოქმედთ ფიცრის პატარა ნაჭერიც კი არ დაუტოვებიათ ორი ფოლად გადაკრული კარის გარდა, რომელთაც ალბათ ვერ მოერივნენ სიმძიმის გამო, სადაც კი რაიმე ხის მასალა ჰქონია ეკლესიებს თუ სხვა შენობებს, ყველგან კედლები გამოუნგრევიათ და წაუღიათ აქ თითქმის ყველაფერი განადგურებულია....აქ მრავალ საუკუნოვანი საქართველოს ისტორია კედლებზე არის დაწერილი, ეს ქვაბთა ქალაქია, ქალაქი უდაბნოში".....როგორც მისი ჩანაწერებიდან ჩანს, მას ნაწილობრივ ჰქონდა ინფორმაცია გარეჯის უდაბნოს სიწმინდეებისა, რადგან არსებობს ასეთი ჩანაწერი: „ისტორიულ ნივთთა შორის ყველაზე ბევრი დაღუპულა დავით გარეჯის უდაბნოში... ამაოხრებელთ გაუტანიათ უამრავი ისტორიული ნივთი, საეკლესიო განძეული და ჭურჭელი გიორგი ბრწყინვალისა და ქეთევან დედოფალის დროისა, სხვათა შორის ვერცხლის ხატი ნათლისმცემლისა, ვერცხლის ჭაღი შეწირული ქეთევან დედოფლის მიერ, ჯვრები ვერცხლისა 7 ცალი....ბარძიმ ფეშხუმი ვერცხლისა წარწერებით 7 ხელი, ჯამები წარწერებით, სპილენძეული დაახლოებით 15 ფუთი, რომელთა შორის ვერცხლის ჭურჭელიც ყოფილა,...ვინმე ტფილისელ მეთრიმლელეებს მთავარი უდაბნოს 5 ზარი წაუღიათ და ტფილისში გაუყიდიათ. რაც შეეხება უდაბნოთა მთავარ სიწმინდეთ: მადლის ქვას, წმ. შიოს თავის ქალას - იგინი გადაურჩენია ადგილობრივ მკვიდრს გიორგი აბაშიძეს, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა უდაბნოთა მეთვალყურეობა"... უდაბნოს დაცვასა და მეთვალყურეობაში დიდი წვლილი შეუტანიათ, მონასტრებიდან 1-5 ვერსის მანძილზე განთავსებულ თივის დამამზადებელი პუნქტების თანამშრომლებს, "მათ გადაუტანიათ დავითის მარმარილოს საფლავის ქვა, შეწირული საბინინის მიერ, ამაოხრებელთა მიერ გატეხილი ორად, დიდი ზარი და ფიცრის მასალა" (ფ.1753, ა1, ს. 4 გვ.92). დავით გარეჯის მონასტრის ტერიტორიაზე ბოჭორიძემ შეისწავლა წმ. ნიკოლოზის, ნათლისმცემლის და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიები: რაც შემორჩა და რის გარჩევაც შეძლო მეცნიერმა ფურცლებზე შემოგვინახა: "ნათლისმცემლის ეკლესიასთან, დიდ აუზთან, რომელიც ქვითკირით არის ამოყვანილი, გდია ფოლად გადაკრული დიდი კარი, რომელსაც ფოლადზე ჰქონია მცირე წარწერები შემორჩენილი.

დავით გარეჯის უდაბნოში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში დაცული ყოფილა წარწერებიანი საფლავის ქვა აღსავლის კარებიდან ორ არშინის დაშორებით: მეცნიერი აღნიშნავდა, რომ წარწერა დაუმთავრებელი იყო, ამიტომ შეუძლებელი იყო მისი თარიღის დადგენა. წმინდა ნიკოლოზის მახლობლად ერთ დიდ დარბაზში, სამხრეთის კედლის ქვაზე ორ ადგილას წარწერაზე მოხსენებული იყო ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. ამავე დარბაზის სიღრმეში კედელზე გამოსახულნი ყოფილან

მდგომარე დავით გარეჯელი და ლუკიანე. დავითის თავზე წარწერაზე იკითხებოდა: "მოიხსენე უფალო მეოხებით ღირსისა მამისა ჩვენის დავით გარეჯელისათა/ ცოდვილ და სფირიდონ/“. ამ ეკლესიის სამხრეთით კლდეში გამოყვანილ დიდ ეკლესიაში შემორჩენილი ყოფილა კედლის მხატვრობის ფრაგმენტი: დავით გარეჯელი ჯეირანებით და ფეხქვეშ ვეშაპის გამოსახულებით (ფ. 1753, ან. 1 ს. 105, ფ. 14,16,17).

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში განლაგებული, გადარჩენილი ეკლესიების გარდა მეცნიერმა აღწერა დასახლებულ პუნქტებში განლაგებული ეკლესიები. სოფელ საგარეჯოს დასავლეთით შემაღლებულ ბორცვზე განთავსებული პეტრე - პავლეს სახელობის ეკლესია. "იგი ერთ ნავიანი ეკლესიაა, ნაშენი რიყის ქვისა და ნათალი ქვისაგან, საყდრის ამშენებლებად ბერძნები სახელდებიან, მაგრამ ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. კარებს თავზე აქვს ფანჯარა, რომლის თავზე დიდი ჩუქურთმიანი ჯვარია გამოსახული. კარების ქვებისა და ჯვრის ჩუქურთმები მშვენიერია. ეკლესიას საძირკველი ორი საფეხურით აქვს გამოწეული, ეკლესიის სახურავი დაზიანებული იყო, შიგნით მოთავსებული იყო სახურავიდან ჩამოვარდნილი ერკემალი. ეკლესიის აღმოსავლეთის მხარეს, ფანჯრის თავზე რელიეფური ჯვარია გამოსახული, ფანჯრის ქვებიც კარის ქვებივით ჩუქურთმებით არის გაწყობილი. აღმოსავლეთის მხარეს ფანჯრის თავზე გამოსახულია ანგელოზები და ვეშაპი“. (ფ.1753, ა.1, ს. 105, გვ 22) .

საგარეჯოში არსებული წმ. დოდო გარეჯელის ეკლესიის შენობა შედარებით გადარჩენილი დახვედრია. მეცნიერს აღმოსავლეთის აღსავლის დაზიანებული კარები აქვს აღწერილი: ეს არის ნიმუში ძველი ხელოვნებისა, ასევე შენობაში შემორჩენილი 5 მცირე მოცულობის ხატი, მეექვსე დაკარგული ყოფილა.

გარე კახეთიდან ჩამოტანილ ეკლესიებში დაცულ სიძველეების უნივერსიტეტის სიძველეთა საცავისათვის გადაცემის ოქმის (1926 წლის 31 მარტი), თანდართულ მასალაში (ეკლესიებში დაცული სიძველეების სიები), მოხსენიებულია საგარეჯოს აღმასკომის საწყობიდან წამოღებული ხატები და სიწმინდეები: სულ 20 ერთეული. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს აღწერა, რადგან ამ ეკლესიების შესახებ ძალიან მწირი ჩანაწერები მოიპოვება, სიაში არის საგარეჯოს ღვთისმშობლის ეკლესია, საქართველოში ერთად ერთი ეკლესია, სადაც ერთ ეზოში აგებულია 16, 17 საუკუნეების ღვთისმშობლის შობისა და ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიები, (ფ. 1753, ა. 1, ს. 115, გვ. 18).

გარე კახეთის ტაძრებს შორის უდავოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსს, რომელიც მეცნიერს შესწავლა - აღწერის დროს თითქმის მთლიანად განადგურებული დახვდა. კომისიამ, რომლის შემადგენლობაში დეკანოზი ალექსი გულისაშვილი შედიოდა, ისტორიულ ძეგლად სცნო ტაძარში შემოჩენილი, ფიცარზე დამზადებული მოვერცხლილი წმინდა ნინოს ორი ხატი, სამრეკლოში მოთავსებული ძველი ზარბაზანი ლომების ქანდაკებით, ნინოწმინდის ძველი ეკლესია თავის გალავნით, სამიტროპოლიტო სახლი და ადგილობრივ მთავრობას მოსთხოვა, ზემოთ ჩამოთვლილი ნივთები და შენობები მკაცრად ყოფილიყო დაცული. კომისიის დადგენილებით პირველი ნომრით აღწერილი ნივთები დატოვებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივ ეკლესიაში, ხოლო უკანასკნელი (ზარბაზანი) გადატანილი უნდა ყოფილიყო ქ. ტფილისის სათანადო მუზეუმში. (ფ. 1753, ა. 1, ს. 106, გვ. 100).

ოციან წლებში, იმდროინდელი მთავრობის პოლიტიკის გამო, მასიურად დაიკეტა ეკლესია-მონასტრები და შეწყდა მსახურება, ნინოწმინდის ტაძრიდან ზემოთაღნიშნული ხატები გაიტანეს და მათი ადგილსამყოფელი უცნობი დარჩა. ამ ხატების ბედით შეწუხებული დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე მიმართავდა საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს: „გარე - კახეთში სხვა ეკლესიებთან ერთად დაკეტეს უძველესი ნინოწმინდის (V საუკუნე) საკათედრო ტაძარი, საიდანაც სხვა ნივთებთან ერთად საგარეჯოს რევკომმა (ურმით წაიღეს) გაიტანა ორი უძველესი ხატი.

1. წმინდა ნინოს სასწაულებისა, შეწირული არჩილ მეფისაგან (არჩილ I) .

2. წმინდა ნინოს ხატი ვერცხლის ჩუქურთმებით მოვლებული, შეწირული მიტროპოლიტის საბა ტუსისშვილის მიერ. (სუიცა, ფ. 300, ა. 3, ს. 44, გვ. 2).

გარე კახეთის საკულტო ნაგებობათა აღწერისას გიორგი ბოჭორიძემ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა მანავ-თარაქის ტერიტორიაზე განლაგებულ ისტორიული ძეგლებზე. თარაქის ზევით, ცივის ძირზე,[1] არის ერთი გუმბათიანი ეკლესია, ხალხის გადმოცემით ვედრების ეკლესია, ..."ეკლესია ნაშენია აგურისა და შირიმის ქვისაგან, საძირკველი შიგნიდან კედლებზე განიერია, საძირკვლის შემდეგ კედლები აგურისგან არის ამოყვანილი, შირიმის ქვა მარტო კარნიზებად არის გამოყენებული. ეკლესიის გუმბათის კარნიზები ლეგა ფერის თლილი ქვისაა, თაღები ოდნავ ტეხილი. ჩრდილოეთის კარები ძველთადვე ამოუშენებიათ. ეკლესიას სამ მხარეს აქვს ფანჯრები: აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით, გუმბათს აქვს ოთხივე მხარეს. გუმბათი შიგნიდან მრგვალია და გარედან რვა წახნაგოვანი, გუმბათის სახურავიც რვა წახნაგოვანი. გარედან ეკლესიის საძირკველთან, კედლებზე დიდი ნიშებია ამოყვანილი, სიმაღლით 80 სანტიმეტრი, საძირკვლიდან 89 სანტიმეტრი. შიგნიდან ეკლესიის სიგრძით $7^{1/2}$ არშინი, სიგანით 6 არშინი. ჩრდილოეთით, კარების თავზე კედელში აგურისაგან ჯვარია გამოყვანილი. კარების თაღები დაზიანებულია, რადგან ხის მასალა მოსახლეობას გამოუყენებია. შუა ნიშები დაქანებით არის გადახურული. ეკლესია დგას სოფელ თარაქის თავზე, 2 ვერსის დაშორებით. გადმოცემით, სოფელ თარაქში ადრე თამარ მეფის სასახლე ყოფილა, ამის დასტურია დიდი შენობის საძირკველი. ამ ადგილს ნატახტარს ეძახიან. შენობის საძირკველთან ახლოს წყლის მსხვილი და წვრილი მილების ნარჩენებია. აქვეა წყლის საწმენდი ქვევრიც. მახლობლად არის ქვითკირის შენობა, რომელსაც ადრე წყლის აუზად იყენებდნენ. ეს არის უმშვენიერესი ადგილი, რომელიც მთელს გარე კახეთს ხელისგულივით გადაჰყურებს" (ფ. 1753, ა.1, ს. 105. ფ. 4,5.) გიორგი ბოჭორიძე მანავ-თარაქის ეკლესია ნაგებობებში მოიხსენიებს მანავის თავზე განთავსებულ "წიტიხიზანის"

საყდარს, კალოუბანის წმინდა გიორგის განახლებულ ეკლესიას, თარაქის კერპის საყდარს და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მანავის ციხე-გალავანს, "მანავის ციხე-გალავანი უდიდესი შენობა ყოფილა, დღეს მისგან ერთი ნაწილიღა არის შემონახული მრავალი ადგილი დაზიანებულია, რამდენიმე მხარეს კედელი გადაქცეულა, რაც შემორჩენილია, ამით მთლიანი სურათის აღდგენა შესაძლებელია. იგი უძველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ციხის კოშკები ოთხკუთხოვანია, თვით ციხესაც კვადრატული დაახლოვებით 2 დესეტინამდე ადგილი უჭირავს, ციხე-გალავნის კედლები შერჩენილია ოთხივე მხარეს. იგი ოთხკუთხა შენობა ყოფილა დაქანებით აღმოსავლეთისაკენ. გალავანში შემორჩენილია ნასახლარები. ჩრდილოეთის კედელთან არის დუღაბით გალესილი შენობა, ხალხის გადმოცემით საფქვილე ყოფილა, სამხრეთით არის დიდი დუღაბის აუზი, დღეს ქვებით ამოვსებული, თუმცა წყალი ისევ დგას, ეტყობა ძველი გაყვანილობიდან მისი მიმდინარეობა არ შეწყვეტილა. ამ აუზთან არის ეკლესიები: მანავის ციხის ეკლესია, შირიმის ქვით, აგურითა და რიყის ქვითაა ნაშენი; სამხრეთით დგას მეორე ეკლესია, რიყის ქვისაგან ნაშენი ბაზილიკა. ამ უკანასკნელის აღმოსავლეთით დგას მესამე ციხისთავის წმინდა გიორგის ეკლესია, შირიმის ქვისა და რიყის ქვისაგან ნაშენი. ეკლესიას ძირი სარდაფის სართული აქვს, კარებით აღმოსავლეთისაკენ, კარები საკმაოდ მაღალია და სარდაფში ჩასასვლელი კიბე არა აქვს. დამაფიქრებელია, მაგრამ ხალხის გადმოცემით, სატუსაღო ყოფილა უწინ. პირველი ეკლესიის შენობიდან უყიდიათ ხალხს შირიმის ქვები და საფლავებისთვის დაუდვიათ. ამ ციხის აღმოსავლეთის კედელთან ახლოს ცნობილ ფრიდონოვს ადგილობრივ სომხებისთვის აუშენებია საყდარი, რასაკვირველია ამით ციხე-გალავნისთვის დიდი ზიანი მიუყენებია, ჯერ ერთი ადგილის გათხრით

[1] **ცივი -** მთა საქართველოში, კახეთის მხარეში, თელავისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების საზღვარზე.

და მეორეც ციხის გალავნის მასალის შეხმარებით. ციხისთავის წმ. გიორგის ეკლესიაში შემონახულია სამრეკლოს ზარი წარწერით ქ. შემოგწირე ზარი ესე ციხის თავს ღვთის მშობლის ეკლესიას ღვთისავრიშვილმა ღვდელმან ლაზარემ მეუღლემან ჩემან მელანიამ შვილისა ჩემისა სადღეგრძელოდ და საოხად სულისა ჩვ[ე] ნისათვინ წელსა ჩყკა"(1821). ზარები ქართულია, ყურები კუთხეებიანი აქვს, მასზედ გამოსახულია ღვთისმშობელი და ანგელოზები, წონით ორ ფუთამდე, იქნება.“ (ფ. 1753. ა.1, ს. 105. ფ.7,9).

1924 წლის 17 იანვრის ძეგლთა დაცვისა და საგანგებო კომიტეტის მინდობილობით, გიორგი ბოჭორიძემ ისტორიულ ძეგლთა აღწერა - გამოვლენის მიზნით ექსპედიცია მოაწყო თელავისა და სიღნაღის მაზრებში.

მისი გადმოცემით თელავის მაზრაში ნივთები ნაკლული სახით დახვდა, რადგან მათი ერთი ნაწილი, რომელიც ინახებოდა მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილებაში, ადგილობრივ განათლების განყოფილებას სიძველეთა და ძეგლთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ნებართვით გაეყიდათ. გაყიდულ ნივთებს შორის იყო თელავის ღვთისმშობლის ტაძრიდან წაღებული: 1. ბაჯაღლო ოქროს ხატი მაცხოვრისა და სხვა წმინდანებისა შემკული 29 ძვირფასი თვლით. 2. თელავის ღვთისმშობლის შობის ეკლესიიდან სამღვდელმთავრო მიტრა, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა მარგალიტების მძივები; 3. ერეკლე მეორის მიერ შეწირული ხომლი; 4. სამი ხის ჯვარი ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით შემკული. გარდა ამისა დაკარგული იყო დაბადებიდან დარჩენილი ხუცური ხელნაწერის სამი დიდი ფურცელი. ხაზინაში დაცული სიძველეებიდან არ აღმოჩნდა თინათინ დედოფლის ნაქონი ოქროს საყურე 17 ძვირფასი თვლით; თელავის რაიონის განათლების განყოფილების მიერ გაყიდული იყო ასევე ადგილობრივი მუზეუმისთვის გადადებული სამი ნივთი: წმინდა გიორგის დასაკეცი ვერცხლის ხატი; ერეკლე მეორის შეწირული ვერცხლის ფეშხუმი და კანდელი (ფ. 1753, ა.1 ს.4, გვ. 33, 46).

საშინელ მდგომარეობაში იყო ახმეტის რაიონის ძვირფასეულობა, თელავის რაიონის ძეგლთა აღწერისას ახმეტა თიანეთის მაზრას ეკუთვნოდა. აღწერის დამთავრებისას კი უკვე თელავის მაზრაზე იყო მიწერილი. ახლად შემოერთებული რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ, რაიონის ყველა ეკლესიის კუთვნილი განძი, ოქრო - ვერცხლით შემკული უძვირფასესი ხატები გაყიდა. გ. ბოჭორიძეს იმედი ჰქონდა საეკლესიო დავთრებიდან შეძლებდა ეკლესია მონასტრებიდან გატანილი ქონების ზუსტი რაოდენობის გაგებას. იმ მოკლე პერიოდში ეს შეუძლებელი გახდა.

კახეთში ჩატარებული ექსპედიციის მსვლელობისას ბოჭორიძემ შეადგინა თელავის და სიღნაღის მაზრებში არსებული ისტორიულ ძეგლთა სიები, რომლებიც ხელშეუხებელნი და დაცულნი უნდა ყოფილიყვნენ ადგილობრივი მოსახლეობისა და მთავრობის მიერ. მან ცალკე გამოყო ფრესკებით დამშვენებული ეკლესიები და შენობები.

გიორგი ბოჭორიძის კახეთის ექსპედიციები დაემთხვა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას, მეცნიერს დასჭირდა გაათმაგებული მუშაობა, რათა იმ არეულ დროში აღეწერა და დაეცვა წინაპრებისგან გადმოცემული ქონება. აგვისტოს გამოსვლების დროს სოფელ ს. აწყურიდან გაიტანეს უძველესი სიგელ-გუჯრები და ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. თელავის აღმასკომის გადაწყვეტილების გარეშე შენობიდან ტომრებით გაიტანეს თელავის არქივის დოკუმენტები. ადგილზე აღწერილი ნივთების დიდი ნაწილი მეცნიერის მიერ შესაბამისი მოხსენებითა და თანდართული სიებით, თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა საცავს ჩაბარდა. „მე დავიარე მთელი თელავის მაზრა, გარდა თუშეთისა, აღვწერე თითქმის ყველა ეკლესია, ძველი შენობები და ნანგრევები.... ჩემი მიზანი იყო მოსახლეობის დასახლების მახლობლად მენახა და ამეწერა ყველა შენობები და ნაგებობები, რადგან შეიძლება რომელიმე მათში ძვირფასი ისტორიული ძეგლი ყოფილიყო და ადამიანის ხელი შეჰხებოდა და მოესპო იგი... მართლაც უქმი და ნანგრევებად მდგარი შენობები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდნენ. ვიდრე აწინდელი სოფლის მოქმედი ეკლესიები. ყველა ის 50 შენობა და ნანგრევი,

რომელიც შევიტანე დასაცავ ძეგლთა სიაში, (ერთი ორის გარდა), ყველა განსაკუთრებული აგებულებისაა“. თელავის მაზრაში ასეთი შენობები და ნანგრევები სულ 133 იყო..., თუმცა თითოეული თემის თავმჯდომარეს მე მისვლისთანავე ვაფრთხილებდი, რომ ყველა სოფელში მზად ყოფილიყვნენ და არ დავებრკოლებინე ეკლესიის აღწერისას, მაგრამ მიუხედავად ამისა, გარდა ალაზნის გაღმა მხრისა, ყველგან დაბრკოლებასა ვხედავდი....“ (ფ.1753, ა.1, ს. 4, გვ.3). ეკლესია ნაგებობები ძალიან დაშლილი იყო, თითო ეკლესიის ქონება სამ ოთხგან იყო მოთავსებული. ამან ძალიან გაურთულა მუშაობა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ გათენებიდან გვიან საღამომდე, (თუ მთვარიანი ღამე იყო) მუშაობდა.

საშინელ მდგომარეობაში იყო ისტორიული ძეგლების (ნაგებობების) ნაწილი, ძველი ისტორიული შენობები, კლუბებად, საავადმყოფოებად, საქონლის სადგომებად და სხვადასხვა დაწესებულებად გადაეკეთებინათ.. ამგვარი მთელს თელავის მაზრაში 15 ეკლესია იყო, ყვარლის ნათლისმცემლის ეკლესია, სადაც ი. ჭავჭავაძის მშობლები იყვნენ დაკრძალულნი, აბანოდ გადაეკეთებინათ, ს. ვეჯინის ამაღლების ეკლესიის საკურთხევლიდან გატანილი ყველა ნივთი ეკლესიის ეზოში დაეწვათ, ღვთისმშობლის ძველ ეკლესიაში ორი აკლდამა განძის პოვნის მიზნით გაეთხარათ და ისე დაეტოვებინათ. ნაქალაქარში ანუ ძველ გრემში ორ სამ ეკლესიასა და მასთან ახლოს მდგარ სამ შენობაში შესახლებულ ქურთებს სასტიკად დაეზიანებინათ ულამაზესი ხის აივნიანი შენობები. ასევე ძველ გრემში განძის მაძიებელთ ბევრი ტაძარი და შენობა დაეზიანებინათ. ეკლესიების უმეტეს ნაწილს, ჯვრები მოცილებული ჰქონდა, ტილოზე შესრულებული ხატები დახეული, ხეზე ამოკვეთილი ხატები დაჭრილი. ფიჩხოვანის ძველი კედლის მხატვრობით გამორჩეული ეკლესია საქონლის სადგომად, ძველი გავაზის ღვთისმშობლის ეკლესია კი აბანოდ იყო გადაკეთებული. ნახევარზე მეტ ეკლესიებში კანკელი მოშლილი ჰქონდათ.

კახეთის მაზრებში ექსპედიციების დროს ბოჭორიძემ დაათვალიერა და აღწერა 255 ეკლესია, ციხე-კოშკი და ნაგებობა. კახეთის ისტორიულ ძეგლთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ შუამთას, ალავერდს, ენისელის მთავარ ანგელოზის თარსა - გალავანს, ნეკრესს და ბოდბეს, მაგრამ როგორც ის ამბობს „მე მათზე არ შევჩერდები, რადგან იგინი საზოგადოდ ცნობილნი არიან და მე დავასახელებ მხოლოდ იმათ რომლებიც თხოულობენ სასწრაფო ყურადღებას“ . (ფ. 1753, ა.1, ს.4. გვ 31ᵃ).

შუამთის მახლობლად 7 ვერსზე მთაში აღმოჩნდა ერთი უცნობი ძველი ეკლესია წმინდა კუნტურის საყდარი, რომლის კედლებზეც შემონახული იყო 7 წარწერებიანი ქვა. საინტერესო იყო ს. ფიჩხოვანის ნათლისმცემლის და ღვთაების ფრესკებიანი ეკლესიები, წარწერებიანი ქვებით და ხარჭაშნელი ეპისკოპოსის საფლავის ფიქალი ქვა მისივე გამოსახულებით...განსაკუთრებულ ყურადსაღები იყო ძველი ნეკრესი, მისი კედლის ცოცხალი მხატვრობა, როგორც თვითონ ბოჭორიძე ამბობს: „ადამიანის თვალსა და გულს ეჭიდება“. (ფ. 1753,ა.1,ს. 4, გვ, 32ა).

ეკლესიების განძეულის ერთი ნაწილი ძლიერ დაზიანებული იყო. ხატებზე ვერცხლის და ოქროს არშიები თითქმის ყველგან შემოცლილი დახვდა. თელავის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის 12 ძვირფასი ხატიდან, რომელიც გადმოცემით რომის პაპის ნაჩუქარი იყო, მხოლოდ 7 ხატი იყო გადარჩენილი. გადმოცემით ეს ხატები ეკლესიიდან გამოტანილი, ხის სხვა ნაკეთობებთან ერთად ურმით გატანილი და დაკარგული დახვდა. განადგურებული იყო გრემის წმ. გიორგის და კურდღელაურის ეკლესიის მშვენიერი კედლის მხატვრობა. ზოგიერთ ეკლესიაში კედლის მხატვრობა კირით იყო გადალესილი. განადგურებული დახვდა ალავერდის მონასტრის ბერთა საცხოვრებელი ოთახები. სოფელ ლალისყულის წმინდა ნიკოლოზის სახ. ეკლესიიდან ნივთების გადმოტანის დროს ძველი ხუცური ხელნაწერები და რამდენიმე ეტრადის გრაგნილი დაკარგული დახვდა. გ. ბოჭორიძის დიდი მცდელობის მიუხედავად აღნიშნული ხელნაწერები პოვნა შეუძლებელი გახდა.

მიუხედავად ამდენი უარყოფითი მხარისა, მაზრის ეკლესიების და ძვირფასი ნივთების ნაწილი გადარჩენილი იყო. პირველ რიგში აღიწერა თელავის მაზრის ცეიხჰაუზში დაცული ნივთები, ძირითადად შუამთის მონასტრიდან წამოღებული ხატები და განძეულობა, რომელიც დამალული იყო მონასტრის კედელში და აღმოჩენილი იქნა დავით ვაშაკიძის მიერ.

1928-1929 წლებში საქართველოს ცენტრალურ არქივში ძველ საბუთთა განყოფილების გამგედ მუშაობის პერიოდში გ. ბოჭორიძემ არქეოლოგიური კვლევის მიზნით მოიარა ზაქათალის, ნუხის და გეოქჩაის მაზრები, საქართველოს ისტორიული პროვინციის ჰერეთის ნაწილი: „უმთავრესი მიზანი ჩემი მოგზაურობისა იყო ისტორიული-ეპიგრაფიკული (დამწერლობის) ძეგლების პოვნა და ფოტოგრაფიული გადაღება. ასეთი ძეგლები ხსენებულ კუთხეში ძლიერ ცოტაა შენახული, მათი უდიდესი ნაწილი დრო - ჟამს მოუსპია, მიუხედავად ამისა, მაინც საკმარისი მასალა აღმოჩნდა: ნუხის მაზრაში, ალბანეთის ყოფილ ტერიტორიაზე ვიპოვნე ქვა ალბანური წარწერით, სხვა ადგილას აღმოჩნდა ქვა შესანიშნავი ყვავილოვანი სახეებით და უცნობი ხაზოვანი ნიშნებით (წარწერებით?)... წარწერების აღმოჩენას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთერთი უძველესი სახელმწიფოს ალბანეთის კულტურის აღდგენა შესწავლისათვის, რომლის მნიშვნელობა არა თუ საქართველოს და კავკასიის ფარგლებში, არამედ მსოფლიო ინტერესის შემცველია. ეს ორი აღმოჩენა პირველი მაგალითია ალბანური დამწერლობის ძეგლებისა, სხვა ამგვარი ჯერჯერობით არსად ჩანს“. (ფ. 1753, ა.1, ს. 12, გვ.2).

ნახურსა და საინგილოს ტერიტორიებზე მოგზაურობისას ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების დროს აღმოჩნდა, რომ აქ ძირითადად ალბანელების შთამომავალნი ცხოვრობდნენ, ადგილობრივები თვლიდნენ, რომ ისინი ქართველების მოდგმისანი უნდა ყოფილიყვნენ, გვარებიც ქართულ ძირებით იყო ნაწარმოები.

აქ ს. ნახურის თავზე სოფლიდან ჩრდილო აღმოსავლეთით და დასავლეთით ჭიქლარისა და მუჯის საზღვრებზე მდებარეობდა „დადიან-ფირი“, დადიანთა სალოცავი. ნახურის გზაზე არსებული ზოგიერთი მეჩეთი, ძველი ეკლესიების დანგრეულ კედლებზე იყო დაშენებული, ბელაქანიდან 5 კილომეტრში ტყეში აღმოაჩნდა ქართული ეკლესიის ნარჩენი, კედლებზე ფრესკებით. ბელაქანთან ახლოს კიდევ ორი ეკლესიის ნარჩენი აღმოჩნდა, ერთი „წითელი ეკლესიის“ სახელითა ყოფილა ცნობილი. კახის დასავლეთით მდებარე ეკლესიას, „თეთრი საყდარს“ უწოდებდნენ. (ფ. 1753, ა.1, ს. 152, გვ.5).ჰერეთში პირველი ორი მოგზაურობის შედეგად, მეტი არაფერი აღმოჩნდა. კახეთში კი მეტი ექსპედიცია არ ჩატარებულა.

დასკვნა: დასკვნისთვის ისევ მის ცხოვრების ისტორიიდან ამონარიდს გავაკეთებ, საოცარია იმ საქმის ჩამონათვალი რაც ერთმა ადამიანმა 15 წლის განმავლობაში გააკეთა: მან აღრიცხა 900 ისტორიული, მონუმენტური ძეგლი, მოაგროვა 2260 ისტორიული ნივთი, 540 ხელნაწერი და 200 სტამბური წიგნი, 28 წარწერებიანი ქანდაკება, 3550 სიგელ გუჯარი და ძველი საბუთი, 10 ტილოზე შესრულებული ნახატი, სამი კოლექცია მონეტებისა, ორი კოლექცია არქეოლოგიური ნივთებისა და შეადგინა ყველა ზემოთაღნიშნულ კუთხეში დაცული ეკლესიების და იქ დაცული ნივთების, წიგნების ხელნაწერების სიები. (სუიცა, ფ. 303,ა.1, ს.1237, გვ.3[ა]) XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს სიძველეთა გადარჩენის საქმეში არც ერთ მეცნიერს არ გაუკეთებია, იმდენი რაც გიორგი ბოჭორიძემ გააკეთა. მან ბევრი ისეთი ეკლესია აღწერა, რომლიც მანამდე არავის არ უნახავს და დროთა განმავლობაში კი დაუცველობით განადგურდა.

1937 წლის დასაწყისით მთავრდება მისი ბოლო ჩანაწერები. 1937 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეულმა დიდი მეცნიერი დაადანაშაულა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის N 58 -10 და 58-11 მუხლით. ის გაასამართლეს და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს...მაგრამ გადასახლებიდან აღარ დაბრუნებულა.... გადასახლებაში მიმავალი, ჩრდილოეთ კავკასიაში გზაში ვერაგულად მოკლეს და მატარებლიდან

გადმოაგდეს...1939 წლის 27 სექტემბერს, ჯვართამაღლებას მისი სულიც ქართველ წმინდანებს შეუერთდა. სამწუხაროა, რომ შთამომავლობას მისი საფლავიც არ დარჩა.

გამოყენებული წყაროები:

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი - სუიცა - ფ. 300, ა.3,ს.44;

ფ. 303, ა.1, ს.1237;

ფ. 335, ა.9, ს.98.

საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი - სცა –ფ.1753, ა.1, ს. NN 4, 12, 44, 105, 106, 115.

იჰან- ანტონ გულდენშტედტი- გულდენშტენდტის მოგზაურობა საქართველოში, 1962, თბილისი.